ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 47261242**
თარიღი:**04/05/2026**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 4

დ. ჩოხატაური 22 აპრილი, 2026 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: მარიტა მგალობლიშვილი, დავით მინდაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, გოჩა ჯიქია, მაია კუტუბიძე, ნოდარ ცხომელიძე, ლაშა თოლორდავა, კობა კალანდაძე, ლაშა სხვიტარიძე.

არ ესწრებოდა: ქეთევან სიხარულიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დავით შარაშიძე,

მოწვეული:

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

თეა უჯმაჯურიძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების

შესახებ.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

I საკითხი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

<u>მოისმინეს :</u>

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელიც დაინტერესდა, რას გულისხმობს აღნიშნული რეორგანიზაცია.

თეა უჯმაჯურიძემ განმარტა, რომ რეორგანიზაციიც შედეგად იქმნება ახალი ა(ა)ი.პ, სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრს უნდა მიუერთდეს დანარჩენი ორი ა(ა)ი.პ და სახელწოდება იქნება: ,,სპორტის განვითარების ცენტრი“. წარმოდგენილია საშტატო ნუსხის სამუშაო ვერსიაც, თუმცა საბოლოო ვარიანტის სახე ჯერ არა აქვს.

რეორგანიზაციის დეტალური გეგმა გაიწერება კომისიის წევრების თანხმობისა მერის ბრძანების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

კობა კალანდაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ სპორტის განვითარებისთვის უფრო ეფექტური იქნება ამ ა(ა)ი.პ-ებმა იმუშაოს ცალ-ცალკე, ვიდრე შეიქმნას ერთი კონკრეტული სამსახური.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ 441995995), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ 441994843) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი“ და „ღონეს“ (ს/კ 441997840) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა შენიშვნის გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

II საკითხი: ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

<u>მოისმინეს :</u>

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძე დაინტერესდა, რას გულისხმობს წარმოდგენილი პროექტი?

თეა უჯმაჯურიძე: წარმოდგენილი პროექტი გულისხმობს, შეიქმნას მუნიციპალური ინსპექცია, რომელიც იქნება მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალმემკვიდრე.საკრებულოს თანხმობის შემდეგ ზედამხედველობის სამსახურირეორგანიზდება და გაუქმდება.

ვლადიმერ სიხარულიძე: რა იურიდიული საფუძველი აქვს აღნიშნული ა(ა)ი.პ-ის შექმნას?

თეა უჯმაჯურიძე: კანონი იძლევა ,მსგავსი ტიპის რეორგანიზაციის განხირციელების შესაძლებლობას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

აღნიშნული წინადადება კომისიის თავმჯდომარემ დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ გააკეთა განცხადება, რომ თავისი პირადი მოსაზრების საფუძველზე არ აპირებს თანამოხსენების გაკეთებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშთან დაკავშირებით.

მაია კუტუბიძე: რეგლამენტით განსაზღვრულია, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აკეთებს აღნიშნულ თანამოხსენებას.

ვლადიმერ სიხარულიძემ მიმართა კომისიის წევრებს და წევრთაგან სხვადასხვა კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს შესთავზა, სურვილის შემთხვევაში თანამოხსენების სახით წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები, თუმცა საფინანსო კომისიის სხდომაზე არ გაკეთებულა მათი მხრიდან.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე). .

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (თან ერთვის).

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი